განახლებადი ენერგიის წყაროების შედარებითი ანალიზი საქართველოს მაგალითზე

ელენე ღვინიანიძე

ელ-ფოსტა: elene.ghvinianidze130@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველო უხვად ფლობს არატრადიციულ ენერგორესურსებს, რომლებიც გადამწყვეტია მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისა და ენერგეტიკული საჭიროებების დაბალანსებისთვის. მიწისქვეშა თერმული წყლები, მზის და ქარის ენერგია, ბიოგაზი და მეორადი ენერგიის რესურსები იდენტიფიცირებულია, როგორც ძირითადი ენერგიის ჩამნაცვლებლები მომავალში. მიუხედავად მათი უზარმაზარი პოტენციალისა, 1980-იან წლებში დაიწყო ერთობლივი ძალისხმევით ამ რესურსების შესაფასება და ეკონომიკური თვალსაზრისით მათი გამოყენება.

სპეციალიზებულმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა, „ქარის ენერგია“ და „სპეციალური ჰელიოთერმული ინსტალაცია“ (კოოპერატივი „მზე“) მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ რესურსების ათვისება/განვითარებაში. თუმცა, მათი მონდომების მიუხედავად აწყდებოდნენ პრობლემებს ეს იყო იყო ტექნიკური, ეკონომიკური თუ ორგანიზაციული გამოწვევები, რომლებიც დღემდე არსებობს.

ეს ენერგიის წყაროები განახლებადი და პრაქტიკულად ამოუწურავია, გვთავაზობენ პროდუქტებს, რომლებიც კონკურენციას უწევენ ტრადიციულ ენერგორესურსებს გარემოზე ზემოქმედების გარეშე. ისინი ძირითადად ემსახურებიან ადგილობრივ გათბობის საჭიროებებს, რითაც ამცირებენ ტრანსპორტირების ხარჯებს და უზრუნველყოფენ ენერგიის მიწოდების პრობლემებს. რაც მთავარია, ამ რესურსების გამოყენების ხელშეწყობა აძლიერებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებასაც.